

საზამთროს მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი

ნიადაგის დამუშავება

აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდგომაზე, დასავლეთ საქართველოში ადრე გაზაფხულზე. მოხვნის სიღრმე 30-35 სმ.



ნიადაგის გაფხვიერება

ნიადაგის გაფხვიერება დაფარცვას მიმართავენ აპრილში, გამოიყენება დისკებიანი კულტივატორი, კბილებიანი ფარცხი ან დანებიანი კულტივატორი.

თესვა და ჩითილების გამოყვანა

აპრილის პირველ ან მეორე დეკადაში ითესება ერთჯერად ჭიქებში ან სპეციალურ კასეტებში. კასეტებში იყრება ნეიტრალური რეაქციის მქონე ტორფის სუბსტრატი და აგრო პერლიტის ნაზავი, საზამთროს მცენარის თესვები ითესება 2-3 სმ სიღრმეზე. ჩითილები უნდა გამოვიყვანოთ საჩითილებში რომ დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმი. საზამთრო შეიძლება მოვიყვანოთ პირდაპირ ღია გრუნტში დათესვით. ღია გრუნტში ითესება აპრილის თვეში თესვის ნორმა 2-4 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 4 სმ.

ჩითილების მოვლა

მოიცავს მორწყვას, დაცვას დაბალი ტემპერატურების ზემოქმედებისაგან, დაცვას მავნებლებისგან: მახრები, ჭიჭინობელა და სხვა. მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება ფორსი, პირინექს სუპერი, პრიბანი, დურსბანი და სხვა მათი ანალოგები. ფესვის სიდამპლის საწინააღმდეგოდ გამოიყენება: პრევიკურ ენერჯი, პროპაკური, აპრონ XL ან სხვა მათი ანალოგები.

ჩითილების გადარგვა

გადარგვა ხდება აპრილის ბოლოს მაისის დასაწყისში, ამ დროს ჩითილები არიან 12-15 სმ სიმაღლის, 20-30 დღის ასაკის. მცენარეთა გადარგვა ხდება ტენიან ნიადაგში, მწკრივად დარგვისას მწკრივებს შორის მანძილი 2-3 მეტრია, მწკრივებში მცენარეებს შორის მანძილი 1,5 მეტრი.

მცენარეთა მორწყვა

გადარგული მცენარეები ირწყვება 10-15 დღეში ერთხელ (კლიმატური პირობებისა და საჭიროების მიხედვით). მთელი ვეგეტაციის მანძილზე მაისიდან აგვისტოს ჩათვლით ირწყვება 4-5 ჯერ.

სარეველების მოცილება და ნიადაგის გაფხვიერება

გადარგვიდან ორი კვირის შემდეგ ივნისის დასაწყისში მიმართავენ რიგთაშორისების პირველ გაფხვიერებას და სარეველათა მოცილებას. ამავე დროს ტარდება მცენარეთა დამატებითი გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით ნიადაგის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე. ნიადაგის გაფხვიერება შესაძლებელია დაგვჭირდეს 2-3 ჯერ.

მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან საჭიროა მთელი ვეგეტაციის მანძილზე. ფუნგიციდებიდან გამოიყენება: რიდომილ გოლდ მც, თიოვიტ ჯეტ, სუპერ სტარი, კუპროქსატი, კუპერვალი, ანტრაკოლი ან სხვა მათი ანალოგები, ინსექტიციდებიდან გამოიყენება: აქტარა, კონფიდორ მაქსი, სპინტორი, კრალი და სხვა მათი ანალოგები.

მოსავლის აღება

მოსავლის აღება მიმდინარეობს აგვისტო-სექტემბრის ჩათვლით. მოსავლიანობა 50-80 ტონა ჰექტარზე.